

სასამართლო მონიტორინგის ანგარიში
ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე

(15 იანვარი - 15 დეკემბერი, 2013)



ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ანგარიში მომზადდა ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED)

ფინანსური მხარდაჭერით



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

თბილისი, 2013

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

მონიტორი-იურისტები: თამარ ქურთაული

ნინო კირვალიძე

სასამართლო რეპორტაჟებს ამზადებდნენ ჟურნალისტები: სალომე აჩბა

სალომე ჩხეიძე

თამთა თვალავაძე

შორენა კაკაბაძე

მონიტორინგის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: თამარ ბარსონიძე

გიორგი მარგიანი

თარგმანი: ნინო ტლაშაძე

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა არ ასახავდეს NED-ის მოსაზრებებს.

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

მისამართი:

0160 თბილისი , მ. ქანთარის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-პორტალი: <http://www.humanrights.ge>, <http://www.hridc.org>

შინაარსი

შესავალი	5
მეთოდოლოგია.....	5
შერჩეული საქმეები.....	6
საქმის საჯარო განხილვა.....	15
<u>უფლება საქმის საჯარო მოსმენაზე</u>	15
<u>სხდომის დახურვა</u>	17
<u>სხდომის ვიდეოგადაღების უფლება</u>	20
<u>ვიდეოგადაღება ბაჩანა ახალაიას საქმეზე</u>	21
მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა.....	22
სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა.....	25
<u>ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება</u>	25
<u>გიგი უგულავას წინააღმდეგ აღკვეთი ღონისძიების შერჩევა</u>	27
<u>ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა</u>	28
<u>გიორგი კალანდაძის საქმე</u>	30
დაცვის უფლება.....	31
სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.....	33
სხვა დაკვირვებები.....	34
<u>მსჯავრდებული ყოფილი მაღალჩინოსნების შეწყალება პრეზიდენტის მიერ</u>	34
<u>პროკურატურის მხრიდან საქმის გაჭიანურების ტენდენცია ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში</u>	36
<u>ვლადიმერ ბედუკაძის სასჯელისაგან სრული გათავისუფლება</u>	38
ძირითადი დაკვირვებები.....	40
რეკომენდაციები.....	44

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე განხორციელებული სასამართლო მონიტორინგის ანგარიშს. მონიტორინგი მოიცავდა პერიოდს 15 იანვრიდან 15 დეკემბრამდე. მონიტორინგი განხორციელდა აშშ. ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) მხარდაჭერით.

ანგარიშში თავდაპირველად განხილულია მონიტორინგის მეთოდოლოგია. ამის შემდეგ წარმოდგენილია მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა შემდეგ თავებზე: საქმის საჯარო განხილვა, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება, დაცვის უფლება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა და სხვა დაკვირვებები.

ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია მონიტორინგის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

მოცემული მონიტორინგისათვის შეირჩა სისხლის სამართლის ის საქმეები, რომელთა მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და რომელშიც ბრალდებულებს წარმოადგენდნენ ყოფილი მაღალჩინოსნები.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიერ სასამართლო პროცესების უშუალო დაკვირვების შედეგად. მოპოვებული ინფორმაცია გაანალიზებულია საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგი აკვირდებოდნენ საანგარიშო პერიოდში შერჩეულ საქმეებზე გამართულ წინასასამართლო სხდომებსა და არსებითი განხილვის სხდომებს თბილისის საქალაქო სასამართლოში. მონიტორინგი დაკვირვებას ახორციელებდნენ შემდეგი მეთოდით:

ა) აღწერდნენ სასამართლო პროცესის მსვლელობას, აფიქსირებდნენ მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, სიტყვასიტყვით იწერდნენ მნიშვნელოვან მსჯელობებს, კამათსა და შუამდგომლობებს;

ბ) ავსებდნენ სპეციალურ კითხვარს, რომელშიც წარმოდგენილი შეკითხვები საშუალებას იძლეოდა ყურადღება გამახვილებულიყო მონიტორინგისათვის საინტერესო კონკრეტული ფაქტებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდებოდა, თუ რამდენად იყო სასამართლო პროცესებზე დაცული საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს შემდეგი პრინციპები:

- საქმის საჯარო განხილვა
- მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა
- დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება
- დაცვის უფლება
- სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

მონიტორინგის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტი ამზადებდა რეპორტაჟებს სასამართლო პროცესებზე, რაც შეადგენდა მონიტორინგის ჟურნალისტურ კომპონენტს. რეპორტაჟები ქვეყნდებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ვებსაიტზე - www.humanrights.ge. საანგარიშო პერიოდში სულ გამოქვეყნდა 60 სტატია. სასამართლო პროცესები, რომელთა შესახებაც მზადდებოდა სასამართლო რეპორტაჟები, შეირჩეოდა პროცესის მნიშვნელოვანებისა და საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით.

შერჩეული საქმეები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებოდნენ შემდეგ საქმეებზე გამართულ წინასასამართლო და არსებითი განხილვის პროცესებს:

- 1) ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩანა ახალაიას, გაერთიანებული შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის, გენერალ გიორგი კალანდაძისა და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმე (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც **ე.წ. სამხედროების წამების საქმე**)¹.

ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია,

¹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16440&lang=geo>

ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 333-ე მუხლის მეორე ნაწილითა და მესამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტით);

- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ (სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი);
- წამების ორგანიზება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 2 ან მეტი პირის მიმართ (სსკ-ის 144¹ მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები).

გიორგი კალანდაძის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი);
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ (სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი).

აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ ყველა ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა². პროკურატურამ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ახალაიასა და კალანდაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი, ხოლო ორ ბრალდებულს, ზურაბ შამათავასა და ალექსანდრე გორგაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, სამი წელი და ცხრა თვე პატიმრობა მიესაჯათ.

2) ბაჩანა ახალაიასა და შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების საქმე (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ე.წ. **7 სპეცრაზმელის საქმე**).

ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი

² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16901&lang=geo>

³ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16955&lang=geo>

ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები);

- ორგანიზატორობა თანამონაწილეობით, წამებაში, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო (სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტები);
- ორგანიზატორობა თანამონაწილეობით, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო (სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტები).

აღნიშნულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩანა ახალაიასა და სხვა ბრალდებულების წინააღმდეგ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. პროკურატურამ აღნიშნული განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმის სასამართლო განხილვა ამ დროისათვის დასრულებული არ არის.

3) ბაჩანა ახალაიას, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, მეგის ქარდავასა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების საქმე (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ე.წ. „ციხის ბუნტის საქმე“⁴).

ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ძალადობით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები).

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ საქმეში ბაჩანა ახალაიასა და სხვა ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა⁵. ბაჩანა ახალაიასა და მეგის ქარდავას სამი წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ კვირაში, აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ბაჩანა ახალაია შეიწყალა⁶.

⁴ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17073&lang=geo>

⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17292&lang=geo>

⁶ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17310&lang=geo>

4) მეგის ქარდავას მეორე საქმე⁷. მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით (სსკ-ის 138-ე მუხლი);
- მძევლად ხელში ჩაგდება (სსკ-ის 144-ე მუხლი);
- წამება დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ-ის 144¹ მუხლი).

აღნიშნულ საქმეზე არსებითი განხილვა საბოლოო ეტაპზეა. მეგის ქარდავა ამ დრომდე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება.

5) ბაჩანა ახალაიას მეოთხე საქმე⁸. მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლის მეორე ნაწილი).

აღნიშნულ საქმეზე არსებითი განხილვა საწყის ეტაპზეა.

6) შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის, თენგიზ გუნავას საქმე⁹.

თენგიზ გუნავას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, იარაღის გამოყენებით (სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის “ზ” ქვეპუნქტი);
- ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (სსკ-ის 120-ე მუხლი).
- მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 182-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

თენგიზ გუნავა საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო მითვისების ეპიზოდში და მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა იგი შეიწყალა საქმის სააპელაციო სასამართლოსადმი გადაცემამდე.

⁷ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16654&lang=geo>

⁸ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17313&lang=geo>

⁹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16574&lang=geo>

7) საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილისა და კახეთის ყოფილი გუბერნატორის, ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმე.

ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- ამომრჩევლის მოსყიდვა (სსკ-ის 164¹ მუხლი)
- მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 182-ე მუხლი)

ზურაბ ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- ამომრჩევლის მოსყიდვა (სსკ-ის 164¹ მუხლი)

აღნიშნული საქმის წარმოება, დანაშაულის ადგილის მიხედვით, მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისში. საქმე არსებითი განხილვის სტადიაზეა. რადგანაც ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგი ითვალისწინებდა მონიტორინგის განხორციელებას მხოლოდ თბილისში, აღნიშნულ საქმეზე მონიტორინგი არ განხორციელებულა. თუმცა, სხდომებს ესწრებოდა და სასამართლო რეპორტაჟებს ამზადებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონალური ჟურნალისტი¹⁰.

მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება დაკავშირებულია წინასაარჩევნო პერიოდში დაწყებული უმუშევართა აღრიცხვის პროგრამის ფარგლებში 5.2 მლნ ლარის ოდენობით საბიუჯეტო სახსრების, სავარაუდო, არამიზნობრივ ხარჯვასთან ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ; მერაბიშვილის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების მეორე ეპიზოდი უკავშირდება სოფელ კვარიათში მდებარე ფეშენებელური აგარაკის სავარაუდო მითვისებას.

¹⁰ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17166&lang=geo>

8) ვანო მერაბიშვილის მეორე საქმე, რომლის განხილვაც მიმდინარეობს ქ. თბილისში. მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები დაკავშირებულია ე.წ. 26 მაისისა¹¹ და სანდრო გირგვლიანის საქმეებთან¹²:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი);
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ (სსსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აღნიშნულ საქმეზე არსებითი განხილვა საწყის ეტაპზეა. აღსანიშნავია, რომ ე.წ. 26 მაისის საქმეში მტკიცებულებად განიხილავენ ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშს, რომელიც შეეხება შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკული განხორციელების მონიტორინგს 2011 წლის განმავლობაში¹³ და შეიცავს 26 მაისის აქციის დაშლის ანალიზს¹⁴.

9) თბილისის მერის, გიგი უგულავასა და ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის საქმე¹⁵.

გიგი უგულავას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სხვისი ქონების მითვისება მართლსაწინააღმდეგოდ (სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი);
- განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება - (სსკ-ის 194-ე მუხლი მესამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი).

დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალს წარმოადგენდა:

- სხვისი ქონების მითვისება მართლსაწინააღმდეგოდ (სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი)

აღნიშნულ საქმეზე არსებითი განხილვა საწყის ეტაპზეა. დავით კეზერაშვილი იძებნებოდა ინტერპოლის წითელი ცირკულარით. იგი დააკავეს საფრანგეთში. მისი ექსტრადიციის საკითხი ამ დრომდე გადაწყვეტილი არ არის.

¹¹ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16724&lang=geo>

¹² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16711&lang=geo>

¹³ http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/02%20English_final.pdf

¹⁴ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17375&lang=geo>

¹⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16858&lang=geo>

10) დავით კუზერაშვილის მეორე საქმე¹⁶. მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება ან გამოყენება (სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა (სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილები);
- ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (სსკ-ის 210-ე მუხლის მ-2 ნაწილი);
- ქრთამის აღება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ (სსკ-ის 338 – ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი).

აღნიშნულ საქმეზე არსებითი განხილვა საბოლოო ეტაპზეა.

11) გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის, ნიკა გვარამიასა და ენერგეტიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურის საქმე¹⁷.

ნიკა გვარამიას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ქრთამის მიღებაში დახმარება (სსკ-ის 25, 338-ე მუხლის მეორე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი);
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (სსკ-ის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები);
- ყალბი დოკუმენტის დამზადება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი);
- ცრუ მეწარმეობაში დახმარება - (სსკ-ის 25,193-ე მუხლი).

¹⁶ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16610&lang=geo>

¹⁷ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=16555&lang=geo>

ალექსანდრე ხეთაგურის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- დიდი ოდენობით ქრთამის მიცემა (სსკ-ის 339-ე მუხლი)
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სსკ-ის 194-ე მუხლი)

აღნიშნულ საქმეში საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიასა და სხვა ბრალდებულების მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი¹⁸.

12) შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, დავით ახალაიას საქმე¹⁹.

დავით ახალაიას წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (332-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტები);
- წამების ორგანიზება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ (სსკ 25, 144¹ -ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის "ბ", "დ", "ე", "ზ" "თ" ქვეპუნქტები);
- თავისუფლების უკანონო აღკვეთის ორგანიზება ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით (სსკ 25, 143-ე მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის "ა", "გ", "ზ" ქვეპუნქტები);
- თანამდებობის ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აღნიშნულ საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს არსებითი განხილვის ძირითადი სხდომები. დავით ახალაია ამ დრომდე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება.

13) იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილისა და მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის საქმე (ე.წ. ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმე²⁰).

ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალი:

¹⁸ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17362&lang=geo>

¹⁹ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27087>

²⁰ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17099&lang=geo>

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (სსკ-ის 333-ე მუხლი);
- ფინანსური დოკუმენტების გაყალბება (სსკ-ის 210-ე მუხლი).

ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალს წარმოადგენდა:

- ქონების გადამალვაში წაქეზება (25-205 მუხლის მე-3 ნაწილი);
- ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურების გამოყენება (210 მუხლის მე-2 ნაწილი).

აღნიშნულ საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს არსებითი განხილვის ძირითადი სხდომები. ზურაბ ადეიშვილი ამ დრომდე ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება.

14) შსს პრესსამსახურის ყოფილი უფროსის, გურამ დონაძისა და საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის, ზურაბ მიქაძის საქმე. გურამ დონაძის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ზურაბ მიქაძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება:

- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი იარაღის გამოყენებით (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი);
- იძულება ჩვენების მიცემისათვის (სსკ-ის 335-ე მუხლი);
- ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა (სსკ-ის 235-ე მუხლი).

აღნიშნულ საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს არსებითი განხილვის ძირითადი სხდომები.

საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 185 სასამართლო სხდომას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე მიმდინარეობდა წამებაში ბრალდებული 16 პირისა²¹ და უკანონო მოსმენების²² საქმეების განხილვა, რომლებშიც ბრალდებულებს წარმოადგენდნენ ყოფილი მაღალჩინოსნები. ადამიანის უფლებათა ცენტრი აღნიშნულ საქმეებს ვერ დააკვირდა, რადგანაც საქმეთა განხილვა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, პროცესის მონაწილეთა პირადი საიდუმლოების დაცვის მიზნით.

საქმის საჯარო განხილვა

უფლება საქმის საჯარო მოსმენაზე

უფლება საქმის საჯარო მოსმენაზე განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მე-10 მუხლით.

უფლება საჯარო მოსმენაზე გულისხმობს არა მხოლოდ ბრალდებულის უფლებას, საჯარო მოსმენა გაიმართოს საქმეზე, არამედ, საზოგადოების უფლებასაც, ინფორმაცია მიიღოს და შესაძლებლობა ჰქონდეს, დაესწროს საქმის განხილვას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, უმრავლეს შემთხვევებში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო პროცესები ტარდებოდა დიდი ზომის დარბაზში, რითაც დაინტერესებულ პირთა უფლება, დასწრებოდნენ სასამართლო პროცესს, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფილი იყო. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სასამართლო პროცესი, მიუხედავად სხდომაზე დასასწრებად გამოცხადებულ პირთა დიდი რაოდენობისა, მცირე ზომის დარბაზში გაიმართა, რის გამოც, ბევრ დაინტერესებულ პირს წაერთვა შესაძლებლობა დასწრებოდა სასამართლო პროცესს.

მცირე ზომის დარბაზში გაიმართა საბოლოო სხდომა **2013 წლის 31 ივლისს**, ე.წ. სამხედროების წამების საქმეზე, რამაც ბევრ დაინტერესებულ პირს წაართვა შესაძლებლობა დასწრებოდნენ პროცესს. აღნიშნულ საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს წარმოადგენა ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი, ბაჩანა ახალაია.

²¹ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27028>

²² <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26224>

საქმე განსაკუთრებული საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენდა და მასზე დამსწრეთა რაოდენობა ყოველთვის განსაკუთრებით დიდი იყო, რის გამოც სასამართლო პროცესები იმართებოდა საქალაქო სასამართლოს დიდი ზომის დარბაზში. ამის გათვალისწინებით, გაუგებარია, თუ რატომ გაიმართა საბოლოო სხდომა მცირე ზომის დარბაზში. მონიტორების მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, ამ დროს დიდი დარბაზი თავისუფალი იყო.

2013 წლის 20 თებერვალს იგივე საქმეზე, წინასასამართლო სხდომაზე დასასწრებად გამოცხადებულ პირთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობის გამო, დასწრების მსურველთა ნაკადის შესაკავებლად, მანდატურებმა შექმნეს ცოცხალი ბარიერი და რამდენჯერმე ძალის გამოყენებით (მიწოლით) უკან დახიეს ხალხის მასა. მანდატურები განმარტავდნენ, რომ დარბაზში დამსწრეთათვის განკუთვნილი ადგილები შევსებული იყო და მოუწოდებდნენ საზოგადოებას, დაეხიათ უკან.

აღნიშნული განმარტების მიუხედავად, მანდატურები უზრუნველყოფდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პარლამენტარების (ჩიორა თაქთაქიშვილი, აკაკი მინაშვილი და სხვ...) სხდომის დარბაზისკენ გაყვანას, ხალხის ნაკადის გავლით, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. საპასუხოდ, მანდატურები აგრესიას გამოხატავდნენ დასწრების მსურველთა მიმართ, ემუქრებოდნენ მათ სასამართლოს შენობიდან გაძევებით და ძალის გამოყენებით ცდილობდნენ მათ უკან დახევას.

მართალია, აღნიშნული პროცესი დიდი ზომის დარბაზში იმართებოდა, მაგრამ დასწრების მსურველთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობის გამო, ბევრმა დაინტერესებულმა პირმა ვერ შეძლო პროცესზე დასწრება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევებისათვის კანონი არ განსაზღვრავს, თუ ვის უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სხდომაზე დასასწრებად. იმის გათვალისწინებით, რომ დასწრების მსურველთა შორის დაზარალებულთა და ბრალდებულთა ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ (რომელთა დიდი ნაწილი დარბაზში ვერ მოხვდა), გაურკვეველია, რა ნიშნით მიენიჭა პრიორიტეტი პარლამენტარებს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ **2013 წლის 5 მარტს**, იუსტიციისა და განათლების ყოფილი მინისტრის ნიკა გვარამიასა და სხვების საქმეზე, რომლის წინასასამართლო სხდომა, მიუხედავად დასწრების მსურველთა დიდი რაოდენობისა, მცირე ზომის დარბაზში გაიმართა, მანდატურებმა დასწრების მსურველებს განუმარტეს, რომ სასამართლო დარბაზში ჯერ ოჯახის წევრები, ახლობლები, პრესის წარმომადგენლები და შემდეგ დანარჩენი მსურველები უნდა შესულიყვნენ.

მცირე ზომის დარბაზში გაიმართა წინასასამართლო სხდომა თბილისის მერის, გიგი უგულავასა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის საქმეზე **2013 წლის 3 ივლისს**, რომელზეც, ასევე, დასწრების მსურველთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა იყო გამოცხადებული, მაგრამ, ადგილების შევსების გამო, ბევრ მათგანს წაერთვა შესაძლებლობა დასწრებოდა სასამართლო პროცესს.

სხდომის დახურვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ რიგი მიზეზების გამო, მათ შორის არის სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზანი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მყოფ ერთ-ერთ საქმეში, სამხედრო პოლიციის ყოფილ უფროსს, მეგის ქარდავასა და გლდანის #8 საპატიმროს თანამშრომლებს ბრალად ედებოდათ წამებისა და სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებების განხორციელება, რამაც პირის გარდაცვალება გამოიწვია. აღნიშნულ საქმეზე გამართული საჯარო სასამართლო პროცესები შეიცავდა მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი, მათ შორის, სექსუალური ხასიათის ქმედებების დეტალურ აღწერას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ გარდაცვლილი პირის ღირსებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იყო აღნიშნული სასამართლო პროცესების დახურვა. სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად²³, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით. პროცესის მონაწილეთა ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებას აკისრებს მოსამართლესა და პროკურორს, ასევე, სსსკ-ის მე-4 მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის დახურვის თაობაზე პროკურორის მხრიდან შუამდგომლობა არ დაყენებულა. თუმცა, მოსამართლეს შეეძლო სხდომა დაეხურა საკუთარი ინიციატივით. მართალია, პირის ღირსებისა და პირადი ცხოვრების

²³ სსსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი;
http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf

დაცვის მიზანს უპირისპირდებოდა საჯარო ინტერესის მიზანი, მაგრამ, თემის განსაკუთრებული სენსიტიურობიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო სხდომის დახურვა.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებული რედაქციით, დაზარალებულს/მის უფლებამონაცვლეს უფლება არა აქვს, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებით²⁴.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ დაზარალებულს/მის უფლებამონაცვლეს უფლება უნდა ჰქონდეს, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებით. ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარს უჭერს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლის ამ მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, პროკურორს უნდა დაეკისროს დასაბუთებული დადგენილების გამოტანის ვალდებულება²⁵.

საინტერესოა, რომ, მსგავს საქმეებში, სადაც დაზარალებულებს წარმოადგენდა წამების მსხვერპლი პირები, დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით, სასამართლო პროცესები იხურებოდა. ასეთ შემთხვევებს წარმოადგენდნენ, მაგალითად, პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე გამართული სასამართლო პროცესი²⁶ და სამეგრელოში აღმოჩენილ წამების ამსახველ კადრებთან დაკავშირებით წამებაში

²⁴ სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სხდომის ნაწილობრივი ან სრულად დახურვის მიზნებს შეიძლება წარმოადგენდეს: პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვა; არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა; პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის პირადი უსაფრთხოების დაცვა; პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას; სქესობრივი დანაშაულის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვა; პირადი მიმოწერისა და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნება, თუ პირი ამაზე თანახმა არ არის: http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf

²⁵ მუხლი მე-2, ნაწილი მე-3, იხ. კანონპროექტი:

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2083578&lang=ge

²⁶ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16509&lang=geo>

ბრალდებული პირების სასამართლო პროცესი.²⁷ აღნიშნული შემთხვევები წარმოაჩენს გახმაურებულ საქმეებზე პროცესების დახურვის არათანმიმდევრულ პრაქტიკას.

სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ასევე პირადი მიმოწერისა და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნება²⁸. აღნიშნულ შემთხვევას ადგილი ჰქონდა შსს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის, სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის, თენგიზ გუნავას სასამართლო პროცესზე **2013 წლის 26 მარტს**, სადაც პროკურორმა წარადგინა შუამდგომლობა სხდომის ნაწილობრივ დახურვის შესახებ იმ ნაწილში, სადაც უნდა გაცხადებულიყო ინფორმაცია დაზარალებულის ინტიმურ მიმოწერასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ შემთხვევაში, მოსამართლემ განმარტა, რომ უცნობია, რამდენად გამოიკვეთება პროცესზე ბრალდების მხარის მიერ გაჟღერებული გარემოებები და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სხდომის დახურვასთან დაკავშირებით უსაფუძვლოების გამო.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ მოსამართლის აღნიშნული განმარტება დაუსაბუთებელია, რადგანაც საქმის არსიდან და საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით სხდომაზე გამჟღავნდებოდა პირადი ცხოვრების დეტალები.

ამ შემთხვევაში, შესაძლოა, პირადი ცხოვრების დაცვას დაპირისპირებოდა საქმეზე არსებული საჯარო ინტერესი. თუმცა, მოსამართლის განმარტება შუამდგომლობის არდაკმაყოფილებასთან დაკავშირებით არ ეხებოდა საპირწონე ინტერესს და შემოიფარგლებოდა ზემოაღნიშნული დაუსაბუთებელი არგუმენტით.

²⁷ <http://netgazeti.ge/GE/105/News/20869/>

²⁸ სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი:
http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/axali_sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf

სხდომის ვიდეოგადაღების უფლება

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო პროცესების ვიდეოგადაღების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა. საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-13¹ მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ვიდეოგადაღება. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს ამ უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელ სხვა პირს სასამართლო სხდომის დაწყების წინ, საქმის განმხილველი მოსამართლისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე. თუ ასეთი განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ, მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს წილისყრის საფუძველზე²⁹.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის ბრძანება³⁰ განსაზღვრავს იმ წესებს, რომელთა დაცვით უნდა მოხდეს ვიდეოგადაღების საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნული ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, ვიდეოგადაღებაზე უფლებამოსილი ტელეკომპანიის გამოსავლენად გამართული ზემოაღნიშნული წილისყრის შედეგები შესაბამის პირებს ეცნობებათ “სატელეფონო შეტყობინებით, სხდომის ჩატარებამდე გონივრულ ვადაში”³¹.

აღნიშნული პუნქტი მეტყველებს იმაზე, რომ წილისყრის სხდომა იმართება შესაბამისი ტელეკომპანიების მონაწილეობის გარეშე. *აღნიშნული უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ წილისყრის სხდომა უნდა გაიმართოს საჯაროდ, რომელზეც დასწრების შესაძლებლობა ექნებათ შესაბამის ტელეკომპანიებსა და დაინტერესებულ პირებს. ვიდეოგადაღების უფლების მოსაპოვებლად განცხადების გაკეთების უფლება უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ ტელეკომპანიებს, არამედ ინტერნეტ-ტელევიზიებსაც, რომელთაც სხდომის გადაღების უფლება უნდა მიეცეთ მაშინ, როცა სასამართლო პროცესს არ იღებს არცერთი ტელეკომპანია.*

²⁹ კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 13¹; <http://hcoj.gov.ge/ge/saerto-sasamartloebis-shesakheb/1732>

³⁰ იხ. ბრძანება: <http://tcc.gov.ge/index.php?m=552&newsid=8>

³¹ იხ. იქვე

ვიდეოგადაღება ბაჩანა ახალაიას საქმეზე

2013 წლის 20 თებერვალს, ე.წ. სამხედროების წამების საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს წარმოადგენდა ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრი, ბაჩანა ახალაია, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მომხდარიყო საქმის სასამართლო განხილვის ვიდეო-გადაღება და პირდაპირი ტრანსლირება, ასევე დაცვის მხარისთვის აუდიო ჩაწერის ნებართვის მიცემა. დაცვის მხარემ, ასევე, არგუმენტად მიუთითა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდოდა 2013 წლის 1 მარტს და რომლის თანახმადაც, ზოგადი წესი გახდებოდა სასამართლო სხდომის ფოტო და ვიდეო-გადაღება. ბრალდების მხარე არ დაეთანხმა ამ შუამდგომლობას და მიუთითა, რომ ვიდეო ჩაწერის ნებართვისა და ტრანსლირების დაშვება გამოიწვევდა პროცესის გაჭიანურებას, სხდომების გადადებას. ხოლო შუამდგომლობაში აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება მიიჩნია შეუსაბამოდ, რადგან ის არ იყო ძალაში შესული.

მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, დაუშვა აუდიო ჩაწერა, მაგრამ დაუსაბუთებლად მიიჩნია ვიდეო გადაღებისა და ტრანსლირების მოთხოვნა. სასამართლომ განმარტა, რომ, რადგან ეს საქმე, შესაძლოა, განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, იქმნებოდა რისკი, რომ ნაფიც მსაჯულებს ჩამოუყალიბდებოდათ წინასწარი შეხედულება საქმესთან დაკავშირებით, რადგან იხილებოდა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი და რომ დაუშვებელი მტკიცებულებაც მოახდენდა მსაჯულებზე გავლენას, რაც საქმის ობიექტურ განხილვაზე შედეგს იქონიებდა. მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ სხდომა იყო ღია, რითაც უზრუნველყოფილი იყო საჯაროობა და შესაბამისად, არ იყო ვიდეო გადაღების აუცილებლობა. პირდაპირ ტრანსლაციასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სასამართლო ტექნიკურად არ იყო გამართული ამისათვის.

მართალია, იმ მომენტისთვის ის საკანონმდებლო ნორმა, რომელიც პროცესის ვიდეოგადაღების შესაძლებლობას უნებართვოდ ქმნიდა, ამოქმედებული არ იყო, მაგრამ, კანონის მოქმედი რედაქციით, მოსამართლეს უფლება ჰქონდა გაეცა პროცესის ვიდეო გადაღების ნებართვა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საქმეზე იყო განსაკუთრებული საჯარო ინტერესი, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ პროცესზე უნდა დაშვებულიყო ვიდეო-გადაღება. რაც შეეხება მოსამართლის არგუმენტს, რომ შესაძლოა დაუშვებელ მტკიცებულებებს მოეხდინა ზეგავლენა ნაფიც მსაჯულებზე, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ

აღნიშნულ საქმეს ჰქონდა განსაკუთრებული გაშუქება და წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებები და მტკიცებულებები აქტიურად შუქდებოდა სხვადასხვა მედიის საშუალებების მიერ, შესაბამისად ვიდეო-გადაღების თავიდანვე დაშვება მხოლოდ თუ არგებდა საქმის ობიექტურად განხილვას.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ამოსავალ პრინციპს, რომელსაც განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და სსსკ-ის მე-9 და 25-ე მუხლები.

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა, უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისცეს მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები, გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

მართლმსაჯულება შეჯიბრებითია მაშინ, როცა მხარეებს შეუძლიათ თანაბარ საწყისებზე ამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოიყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები. ამასთან, მოსამართლემ კონტროლი უნდა გაუწიოს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების დაცვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, ძირითადად, დაცული იყო. ამ თვალსაზრისით გამოვლენილ დარღვევებს არ ჰქონია ხშირი ხასიათი, გარდა ე.წ. სამხედროების წამების საქმეში, რომელშიც, სხვა საქმეებთან შედარებით, მეტი დარღვევა დაფიქსირდა.

დაცვასა და ბრალდებას, ძირითადად, თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად. თუმცა, ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესებზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა სასამართლო პროცესზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, ე.წ. სამხედროების წამებისა და ე.წ. 7 სპეცრაზმელების საქმეებზე.

ე.წ. სამხედროების წამებისა და ე.წ. სპეცრაზმელების საქმეებზე, ადვოკატების შეკითხვები მოწმეთა მიმართ ხშირად იყო აგრესიული, დამცინავი და შეურაცხმყოფელი ხასიათის. ბრალდებულებისა და მათი ახლობლების მხრიდან ხშირად ჰქონდა ადგილი შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს პროკურორისა და მოწმეთა მისამართით. ამის მიუხედავად, მოსამართლე არ იყენებდა შესაბამის სანქციებს.

ადვოკატთა მხრიდან მოწმეთა მისამართით დაფიქსირდა შემდეგი შეურაცხმყოფელი და საქმესთან შეუსაბამო, არაარსებითი შეკითხვები: „ტყუილებში კარგად ხართ მომზადებული,“ „მიტინგზე თუ ყოფილხარ? არც მაგაში ვარგიხარ ალბათ“, „საბედნიეროდ მე თქვენგან განსხვავებულად ვაზროვნებ,“ „გაყიდე შენი ფსიქიკური მდგომარეობა?“ და სხვა. მართალია, მოსამართლეები ზოგჯერ შენიშვნებს აძლევდნენ დაცვის მხარეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ხშირი ხასიათი და შენიშვნები შედეგს არ იღებდა, მათ უნდა გამოეყენებინა უფრო მკაცრი სანქციები.

შეჯიბრებითობის პრინციპი დაარღვია მოსამართლემ ე.წ. სამხედროების წამების საქმეზე, **2013 წლის 6 ივნისის** სხდომაზე, რომელზეც საქმეში სახაზინო წესით ჩართულმა ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა გადასცემოდა საქმის მასალები და მის მონაწილეობამდე საქმეში არსებული სხდომის ოქმები. ადვოკატმა აღნიშნა, რომ აღნიშნული თხოვნით წერილობით მიმართა სასამართლოს, მაგრამ მისი თხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ.

მოსამართლემ უარი განაცხადა ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მისი განმარტებით, კანონის თანახმად, ხელმოწერის გარეშე ოქმის გადაცემა არ შეიძლებოდა და საქმის მასალები ადვოკატს სხდომის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემოდა სსსკ-ის 195-ე მუხლის თანახმად.

თუმცა, ადვოკატი ითხოვდა უკვე ჩატარებული სხდომის ოქმებს, შესაბამისად, არგუმენტი, რომ მიმდინარე სხდომა არ იყო დამთავრებული, მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ საქმეში ახლადჩართული ადვოკატისთვის მის მონაწილეობამდე გამართული სხდომის ოქმების გაცნობაზე

უარის თქმით, მოსამართლემ არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა დაცვის მხარე ბრალდების მხარესთან შედარებით, რითაც უგულვებელყო შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის პროცესზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხარეთა თანასწორობა.

2013 წლის 25 ივნისს, იგივე საქმეზე მოსამართლემ უარი უთხრა დაცვის მხარეს დაეკითხა მოწმე იმის გამო, რომ მტკიცებულებათა ნუსხაში ამ პირის გვარი შეცდომით იყო მითითებული, კერძოდ, ხარაზიშვილის ნაცვლად მოწმის გვარად მითითებული იყო ხარაიშვილი. ეს მაშინ, როცა 25 მაისის სხდომაზე ბრალდების ისეთი მოწმე დაიკითხა, რომელიც საერთოდ არ იყო მტკიცებულებათა ნუსხაში მითითებული, რაც ტექნიკური ხარვეზის არსებობით აიხსნა. ადვოკატის მითითებაზე, რომ წარსულში ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, მოსამართლემ განაცხადა, რომ ასეთი ფაქტი არ მომხდარა, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ე.წ. სამხედროების წამების საქმეში ხშირი იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა ადვოკატი მოწმეს უსვამდა ერთსა და იმავე, ხშირ შემთხვევაში, არარელევანტურ შეკითხვებს, რის გამოც პროცესები არაგონივრულად ჭიანჭურდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მოწმის დაკითხვა, ხშირად, რამდენიმე საათი გრძელდებოდა, მოსამართლეს არ გამოუყენებია უფლება, დროში შეეზღუდა დაკითხვის მწარმოებელი მხარე. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ საქმის გონივრულ დროში წარმართვისათვის, მოსამართლეს უნდა განესაზღვრა გონივრული ვადა მოწმის დასაკითხად.

აღნიშნულ საქმეზე, ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოსამართლე ჯერ ეკითხებოდა ბრალდებულებს, ცნობდნენ თუ არა თავს დამნაშავედ და მხოლოდ ამის შემდეგ უმართავდა მათ თავიანთ უფლებებს, მათ შორის უფლებას, რომ ბრალდებული არ არის ვალდებული, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას და რომ შეზღუდული არ არის გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით. აღნიშნული შემთხვევა წარმოაჩინს, რომ უფლებათა განმარტება აღქმულია, როგორც ფორმალობა და არა როგორც მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტია.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში, მოსამართლე, არსებითი განხილვის საწყის ეტაპზე, რამდენიმე სხდომის განმავლობაში, განურჩევლად ყველა მოწმეს ეკითხებოდა ნასამართლეობის შესახებ. ასეთ მიდგომას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, გამონაკლისი შემთხვევის

გარდა, კერძოდ, სსსკ-ის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ნასამართლეობის შესახებ შეკითხვა მოწმეს შეიძლება დაესვას, თუ ის საჭიროა მოწმის სანდოობის დასადგენად. თუმცა, ეს არ შეიძლება ხდებოდეს რამდენიმე პროცესის მანძილზე განუჩევლად ყველა დასაკითხი პირის მიმართ.

სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა

სსსკ-ის 194 მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობაში იგულისხმება ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში მკაფიოდ, ნათლად და ჯეროვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიზეზები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად. გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ სასამართლო ვერდიქტის მიმართ, არამედ მოსამართლის მიერ სხდომის მიმდინარეობისას მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების მიმართაც. მართალია, მოსამართლე ვალდებული არ არის, დეტალური პასუხი გასცეს ყველა წამოჭრილ შეკითხვას, მაგრამ თუ წარმოდგენილი არგუმენტაცია მნიშვნელოვანია საქმის შედეგისათვის, მოსამართლე ვალდებულია, ნათლად უპასუხოს მას. აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან.

ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როცა მოსამართლის გადაწყვეტილება არ იყო ნათლად დასაბუთებული ან არ პასუხობდა განმცხადებლის მნიშვნელოვან არგუმენტაციას.

ე.წ. სამხედროების წამების საქმეში 2013 წლის 1 მარტის წინასასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული ღონისძიება - პატიმრობა, შეცვლილიყო 50 000 ლარის ოდენობის გირაოთი. სხვა არგუმენტებთან ერთად, ადვოკატმა მიუთითა, რომ საქმეზე გამოძიება დასრულდა, არაერთმა მოწმემ შეცვალა ჩვენება და აღარ არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე; პარლამენტის მიერ მიღებული ამნისტიის

კანონით, საგრძნობლად შემცირდა სასჯელის ზომები, შესაბამისად ნაკლები იყო მიმალვის საფრთხე;

ადვოკატმა მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის პატიმრობისთვის მუდმივად უნდა არსებობდეს შესაბამისი კონკრეტული საფუძვლები; ის გარემოებები, რომლებიც თავიდან ამართლებენ პატიმრობას, შემდგომში შეიძლება აღარ იყოს სახეზე.

ბრალდების მხარემ, სხვა არგუმენტებთან ერთად, მიუთითა, რომ მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე კვლავაც არსებობს, რადგან საბოლოო სასამართლოში მიცემული ჩვენებაა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ საქმეზე გამოძიება დასრულდა, არ ნიშნავს, რომ აღარ არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე; არ არსებობს არანაირი ახალი გარემოება, რომ გაუქმდეს მიღებული გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შესახებ.

მოსამართლის განმარტებით, აღნიშნულ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო ბრალდებულის სასამართლოში პირველადი წარდგენის სხდომაზე და მის ხელმოწერედ განსახილველად აუცილებელი იყო ახალი გარემოება, *„ევროპული სასამართლოს პრეცედენტები კი არ არის ახალი გარემოება“*, - აღნიშნა მოსამართლემ.

მოსამართლეს არ უმსჯელია ადვოკატის მიერ წამოჭრილ საკითხზე იმის შესახებ, იყო თუ არა კვლავ სახეზე ის გარემოებები, რომლებიც დაედო საფუძვლად პატიმრობას. იგი მხოლოდ ზეამოაღნიშნული განმარტებით შემოიფარგლა.

სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველს წარმოადგენს ახალი გარემოებები, რომლებიც არ იყო ცნობილი აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას. აღნიშნული დებულებიდან, ბუნებრივია, გამომდინარეობს, რომ იმ გარემოებების შეცვლა, რომლებიც პირის პატიმრობას დაედო საფუძვლად, წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველს. აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან³².

³² მანსური თურქეთის წინააღმდეგ

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლემ არ იმსჯელა ადვოკატის მიერ წამოჭრილ მნიშვნელოვან არგუმენტაციაზე პატიმრობის თავდაპირველი საფუძვლების არარსებობასთან დაკავშირებით, იგი მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლა ახალი გარემოებების არარსებობასთან დაკავშირებით, რაც, არ წარმოადგენდა საკმარის დასაბუთებას მიღებული გადაწყვეტილებისათვის.

2013 წლის 25 ივნისის სასამართლო სხდომაზე, იგივე საქმეზე, ერთ-ერთი დაკითხული მოწმის ნათქვამის შესამოწმებლად ჩართეს აუდიო ჩანაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერის უხარისხობის გამო რაიმეს გარკვევა შეუძლებელი იყო, მოსამართლე მოწმის ნათქვამის განმარტებისას საკუთარ მეხსიერებას დაეყრდნო. მოსამართლის მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების პრობლემასთან ერთად, აღნიშნული შემთხვევა, წარმოაჩენს სასამართლოში აუდიო სისტემის უხარისხობის პრობლემას. აღსანიშნავია, რომ აუდიო ჩანაწერი, ამ შემთხვევაში, წარმოადგენდა მოწმის ნათქვამის გადამოწმების ერთადერთ საშუალებას.

გიგი უგულავას წინააღმდეგ აღკვეთი ღონისძიების შერჩევა

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ 2013 წლის 25 თებერვალს თბილისის მერის გიგი უგულავას საქმეზე აღკვეთი ღონისძიების შერჩევისას.

აღნიშნულ ხდომაზე, პროკურატურამ მოითხოვა 1 000 000 ლარის ოდენობის გირაოს შეფარდება. სხვა არგუმენტებთან ერთად დასახელებული იყო მიმალვის საფრთხე, რადგანაც პირს ბრალად ედებოდა მძიმე დანაშაულების ჩადენა და ბრალდებულის რამდენჯერმე გამოუცხადებლობა საგამომიებო ორგანოში, მიუხედავად უწყების მიღებისა.

დაცვის მხარემ მოითხოვა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება ან პირადი თავდებობის შეფარდება 34 პარლამენტარისა და თბილისის საკრებულოს 24 წევრის ხელმოწერით. დაცვის მხარემ ასევე განმარტა, რომ მოთხოვნილი გირაოს თანხის რაოდენობა არ შეესაბამებოდა ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გარეშე დაეტოვებინა ბრალდებული. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ გაავრცელა განცხადება:

„შუამდგომლობის განხილვისას ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ბრალდებულ გიორგი უგულავას მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, ასევე, პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე და კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის სათანადო ქცევა, მისი გამოძიებასა და სასამართლოში გამოცხადება უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე.“³³

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ დასაბუთებას. მსგავსი სახის მძიმე დანაშაულებში ბრალდებული პირის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ ბრალდებული რამდენჯერმე არ გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში. შესაბამისად, სასამართლოს უნდა მიეღო გარკვეული სახის აღკვეთის ღონისძიება.

ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მაღალჩინოსანთა საქმეებში ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის საკითხის გადაწყვეტისას, რიგ შემთხვევებში, მოსამართლეები არ წარმოადგენდნენ დასაბუთებას და ბრალდებულთა უარს იღებდნენ როგორც თავისთავად საფუძველს ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის გარეშე გადაწყვეტილების მისაღებად.

სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ნაფიც მსაჯულთა გარეშე საქმის განხილვის შესახებ, ბრალდებულის შუამდგომლობით, როცა სახეზეა შემდეგი საფუძვლები:

„თუ, დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა. აგრეთვე - როდესაც

³³ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება: http://court.ge/geo_news_537_giorgi-ugulavas-mimarT-ar-iqna-gamoyenebuli-aRkveTis-RonisZiebis-arc-erTi-saxe

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას“.

2013 წლის 17 მარტის სხდომაზე, ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე, მოსამართლემ განმარტა ნაფიც მსაჯულთა დებულებები. ბრალდებულებმა და დამცველმა უარი განაცხადეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვაზე, საფუძველად კი საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უპირატესობა მიუთითეს. ასევე, დასძინეს, რომ აქტიურად შუქდება მოვლენები ტელევიზიით, რაც გავლენას იქონიებს საზოგადოებაზე და ნაფიცი მსაჯულები ვერ იქნებიან ობიექტურნი გადაწყვეტილების მიღებისას.

პროკურატურამ განაცხადა, რომ რადგანაც კანონი ბრალდებულებს აძლევდათ უფლებას, თავად აერჩიათ, სურდათ თუ არა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა, საპრეტენზიო არაფერი ჰქონდა.

მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილულიყო საქმე, ისე რომ არ წარმოუდგენია დასაბუთება, თუ 226-ე მუხლის პირველ ნაწილში გადმოცემულ რომელ სიკეთეს ექმნებოდა საფრთხე.

დასაბუთების გარეშე, მხოლოდ ბრალდებულთა უარის საფუძველზე მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილულიყო საქმე 2013 წლის 5 მარტის სხდომაზეც ე.წ. სამხედროების საქმეში. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ძირითადი დებულებები, შემდგომ გაარკვია, სურდათ თუ არა ბრალდებულებს მათი საქმე განეხილა ნაფიც მსაჯულებს, რაზეც ყველა წარმოდგენილმა ბრალდებულმა განაცხადა უარი, რის შემდეგაც მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილულიყო საქმე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ეთანხმება, რომ, როცა საქმეზე არის განსაკუთრებული საჯარო ინტერესი, მიზანშეწონილია, ნაფიცი მსაჯულების გარეშე იქნას საქმე განხილული, რადგანაც არსებობს რისკი, რომ ნაფიცი მსაჯულები მოექცნენ საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. თუმცა, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მოსამართლეებს არ უმსჯელიათ, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა საფრთხეს უქმნის საჯარო ინტერესს ან სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილში გადმოცემულ სხვა რომელიმე ინტერესს. მათ ბრალდებულთა უარი მიიღეს როგორც თავისთავადი საფუძველი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, რაც წარმოშობს რისკს, რომ

სხვა ტიპის საქმეებშიც, სადაც 226-ე მუხლის პირველ ნაწილში გადმოცემულ ინტერესს საფრთხე არ ექმნება, საქმის განხილვა გაიმართოს ნაფიცის მსაჯულების მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ ბრალდებულთა უარის საფუძველზე.

გიორგი კალანდაძის საქმე

2012 წლის 10 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურატურამ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, ბრალდებულ გიორგი კალანდაძის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა 2012 წლის 11 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით მოსამართლე ლ. ო.-ს მიერ.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მოსამართლემ განჩინებაში აღნიშნა:

„ბრალდებული გიორგი კალანდაძე, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე გადაყენებული იქნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის თანამდებობიდან.“³⁴

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ მოსამართლემ, აღნიშნული გადაწყვეტილებით, დაარღვია სსსკ-ის 160-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავად გადააყენოს ბრალდებული თანამდებობიდან. სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ აღასრულოს ეს გადაწყვეტილება.

მოსამართლე ვალდებული იყო, განჩინებაში მიეთითებინა ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იყო პირის გათავისუფლებაზე 160-ე მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი. განჩინებაში აღნიშნული იყო, რომ იგი შესასრულებლად გადაეცემა აღკვეთის ღონისძიების აღმასრულებელ დაწესებულებას სსსკ-ის 206 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად. თუმცა, თანამდებობიდან გადაყენება არ არის აღკვეთის ღონისძიება და აღნიშნული მითითება არ შეესაბამებოდა კანონს.

³⁴ გვ. 398, <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkakhkdqvc.pdf>

საქართველოს პრეზიდენტმა **2012 წლის 20 ნოემბერს** მიიღო განკარგულება გიორგი კალანდაძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

პრეზიდენტის მიერ გიორგი კალანდაძის თანამდებობიდან გადაყენებამდე, **2012 წლის 13 ნოემბერს** თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას მიმართა პროკურორმა და მოითხოვა გიორგი კალანდაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. მოსამართლე ბ.შ.-მ გიორგი კალანდაძეს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება გირაოს სახით. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმის თანახმად³⁵, გიორგი კალანდაძის ადვოკატმა ვრცლად იმსჯელა გიორგი კალანდაძის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის უკანონობაზე. პასუხად მოსამართლემ აღნიშნა, რომ გიორგი კალანდაძის ბრალდებულად ცნობისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

13 ნოემბრისათვის, გიორგი კალანდაძე ჯერ კიდევ წარმოადგენდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, შესაბამისად, მის წინააღმდეგ დევნას ახორციელებდა არაუფლებამოსილი პირი. პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის წინააღმდეგ დევნას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი.

აღნიშნულ შემთხვევებში, მოსამართლე ლ.ო-სა და მოსამართლე ბ.შ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას.

დაცვის უფლება

ბრალდებულის დაცვის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლების თანახმად. დაცვის უფლებას განამტკიცებს ასევე სსსკ-ის 38-ე მუხლი. დაცვის უფლება გულისხმობს, რომ ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის

³⁵ გვ. 399; <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkakhkdqvc.pdf>

გადახდისუუნაროა – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე განსაზღვრავს სავალდებულო დაცვის შემთხვევებსაც, მაგალითად, თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე და სხვ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დაცვის უფლება, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა დაცვის მხარეს არ მიეცა დაცვის უფლების სრულფასოვნად განხორციელების საშუალება, კერძოდ, ადვოკატს არ მიეცა საქმეში მის მონაწილეობამდე საქმეში არსებული ოქმების გაცნობის საშუალება, რაც ასევე წარმოადგენდა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას.³⁶

დაცვის უფლების განხორციელების თვალსაზრისით, კითხვებს წარმოშობს მოსამართლის გადაწყვეტილება **2013 წლის 29 აპრილს**, ე.წ. სამხედროების საქმეზე, ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას ადვოკატ-სტაჟიორ რომეო საჯაიასათვის დაცვის უფლების განხორციელების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. მოსამართლის განმარტებით, საჯაიას ადვოკატის ლიცენზია და ორდერი არ აქვს და იგი მხოლოდ სტაჟიორია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კი, ადვოკატ-სტაჟიორს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.

სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და მოწმობას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლება სტაჟიორს არ აქვს. თუმცა, ამ შემთხვევაში, პრობლემატურია ის, რომ *თავდაპირველად აღნიშნულ საქმეში ადვოკატ-სტაჟიორს ეძლეოდა მოწმეების დაკითხვის უფლება და ის საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროცესში. კითხვის ნიშნებს იწვევს ის ფაქტი, რომ მას თავიდანვე არ ჩამოერთვა ეს უფლება, რადგანაც ლიცენზიისა და ორდერის არარსებობის შესახებ მოსამართლისათვის თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი.*

³⁶ იბ. გვ. 15

სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლი განამტკიცებს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს. სსსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ არსებობს კონკრეტული გარემოებები, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება სამართლიან და საჯარო მოსმენაზე კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. იმის შეფასებისას, არის თუ არა ეროვნული სასამართლო დამოუკიდებელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლო რამდენიმე ფაქტორს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას:

- სასამართლო წევრთა დანიშვნა;
- მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის ვადა;
- გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსამართლეებს, არ განიცადონ ზეწოლა;
- სასამართლოს მიერ დამოუკიდებლობის გამომჟღავნება.

2013 წლის 3 აგვისტოს, ორგანიზაცია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) ბაჩო ახალაიას მიმართ მიმდინარე საქმეებზე განმხილველი მოსამართლეების დანიშვნის შესახებ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ბაჩანა ახალაიას სამივე სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები არიან ერთსა და იმავე დღეს გადმოყვანილნი თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა სასამართლოებიდან³⁷.

ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე გიორგი დარახველიძე, რომელმაც გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანა ბაჩანა ახალაიას მიმართ ე.წ. სამხედროების საქმეზე, 2013 წლის 6 თებერვალს საჩხერის რაიონული სასამართლოდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მიავლინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. გიორგი დარახველიძემ 2013 წლის 18 მარტს დაიწყო ბაჩანა ახალაიას საქმის არსებითი

³⁷ იხ. განცხადება <http://netgazeti.ge/GE/105/News/22312/>

განხილვა, რომლის მომდევნო დღესაც, 2013 წლის 19 მარტს დაინიშნა იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ³⁸.

მოსამართლე დავით მგელიაშვილი, რომელმაც ასევე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა ბაჩანა ახალაიას მიმართ ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე, ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის 6 თებერვალს გორის რაიონული სასამართლოდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მიავლინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. დავით მგელიაშვილი 2013 წლის 19 მარტს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ³⁹.

რაც შეეხება მესამე, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეს, ამ საქმეზე მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის ჩანაცვლება მოხდა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძით. ლაშა ჩხიკვაძე, ზემოხსენებული მოსამართლეების მსგავსად, 2013 წლის 6 თებერვალს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოდან მიავლინეს და დანიშნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში⁴⁰.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ეთანხმება ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ გამოთქმულ ეჭვს, რომ ამგვარი დამთხვევა პროცესის მიმართ გარკვეულ კითხვებს წარმოშობს, რაც მოითხოვს დასაბუთებულ განმარტებებს სასამართლო ხელისუფლებისგან. *უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებები აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო ხელისუფლების მიერ დღემდე არ გაკეთებულა.*

სხვა დაკვირვებები

მსჯავრდებული ყოფილი მაღალჩინოსნების შეწყალება პრეზიდენტის მიერ

მართალია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა სასამართლო პროცესებზე სამართლიანი სასამართლოს პრინციპების უზრუნველყოფას, მაგრამ ორგანიზაციას საჭიროდ მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს იმ დარღვევებზეც, რომლებიც დაფიქსირდა ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებთან დაკავშირებით სხვა ორგანოების მხრიდანაც. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს აწ უკვე ყოფილი

³⁸ ibid

³⁹ <http://netgazeti.ge/GE/105/News/22312/>

⁴⁰ ibid

პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ სასამართლოს მიერ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე დამნაშავედ ცნობილი ყოფილი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩანა ახალაიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსის თენგიზ გუნავას შეწყალება.

საქართველოს პრეზიდენტმა 2013 წლის 30 ივლისის განკარგულებით შეიწყალა მსჯავრდებული თენგიზ გუნავა და მოუსხნა მას ნასამართლობა⁴¹. 2013 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა მისი უფლებამოსილების ამოწურვამდე 14 დღით ადრე, ასევე, შეიწყალა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩანა ახალაია ე.წ. „ციხის ბუნტის“ საქმეში, რომელზეც საქალაქო სასამართლომ 28 ოქტომბერს გამოიტანა განაჩენი და რითაც ბაჩანა ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამ ყოფილ მაღალჩინოსანს სამი წლითა და ცხრა თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა⁴². აღსანიშნავია, რომ, პროკურატურამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მაგრამ, პრეზიდენტი არ დაელოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და შეიწყალა მსჯავრდებული, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

„შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის #277 ბრძანებულება ადგენს კონკრეტულ წესებს, რომელთა დაცვით უნდა მოხდეს პირის შეწყალება. ამ წესებს მიეკუთვნება სასჯელის 1/3-ის მოხდა და პირის მიერ შეწყალების თხოვნა, რა პირობებიც აღნიშნულ შემთხვევებში სახეზე არ იყო. თუმცა, ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, აღნიშნული წესების დაცვის გარეშე მიიღოს შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება⁴³.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პუნქტი არ განსაზღვრავს, თუ რა კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში აქვს პრეზიდენტს მისი გამოყენების უფლება. ეს კი ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, კანონი უნდა იძლეოდეს იმის განჭვრეტის შესაძლებლობას, თუ რა გარემოებების დადგომის შემთხვევაში ამოქმედდება იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს მისი თვითნებურად გამოყენების საფრთხე.

⁴¹ <http://www.radiotavisupleba.ge/content/tengiz-gunava-tavisupalia/25061427.html>

⁴² <http://www.radiotavisupleba.ge/content/soldier-and-state-weekly-rubric/25156694.html>

⁴³ იხ. პრეზიდენტის ბრძანებულება:

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=35644&lang=ge

რაც შეეხება თენგიზ გუნავასათვის პრეზიდენტის განკარგულებით ნასამართლობის მოხსნის ფაქტს, სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად⁴⁴, ნასამართლობის მოხსნა შეიძლება მხოლოდ სასჯელმოხდილი პირისათვის. თენგიზ გუნავა არ იყო სასჯელმოხდილი პირი, როცა პრეზიდენტმა მისი შეწყალების აქტი გამოსცა, შესაბამისად, მისთვის ნასამართლეობის მოხსნა წარმოადგენდა კანონდარღვევას.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საქმეები წარმოადგენდა საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეებს, აუცილებელია, ნათელი ყოფილიყო ის გარემოებები, რომელთა საფუძველზე მოხდა ამ საქმეში ბრალდებული პირთა შეწყალება. აღნიშნული გარემოებები უნდა იყოს კანონმდებლობით ნათლად განსაზღვრული, რათა თავიდან იყოს აცილებული მისი თვითნებურად გამოყენება.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ კანონმდებლობით პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს შეწყალების უფლება ერთპიროვნულად, შეწყალების კომისიის რეკომენდაციის გარეშე. შეუძლებელი უნდა იყოს პირის შეწყალება, თუ მას მოხდილი არა აქვს სასჯელის 1/3 მაინც. ამავე დროს, შეწყალების აქტის გამოცემისას აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს პატიმრის მხრიდან დანაშაულის აღიარება და სინანულის გრძნობა მომხდარის მიმართ⁴⁵.

პროკურატურის მხრიდან საქმის გაჭიანურების ტენდენცია ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში

ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში გამოიკვეთა პროკურატურის მხრიდან საქმის გაჭიანურების ტენდენცია. კერძოდ, 2013 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე არ გამოცხადდა პროკურორი რევაზ ნადოი, რომელსაც დასკვნითი სიტყვა უნდა წარმოეთქვა. 19 სექტემბერს მისი გამოუცხადებლობის მიზეზად დასახელდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. მოსამართლემ დაუშვა საქმეში ჩართულიყო ახალი პროკურორი, ია დარჯანია, ისე, რომ არ მიუღია ცნობა რევაზ ნადოის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. სსსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პროკურორის თვითაცილების განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული. სასამართლო პროცესზე არ წარმოდგენილა რევაზ ნადოის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ოფიციალური ცნობა.

⁴⁴ http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf

⁴⁵ <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17310&lang=geo>

პროკურორმა ია დარჯანიამ, რომელიც საქმეში 19 სექტემბერს ჩაერთო, მოითხოვა პროცესის გადადება 30 დღით იმ მიზეზით, რომ უნდა გასცნობოდა საქმის მასალებს. მოსამართლემ მას 10 დღე მისცა საქმის მასალების გასაცნობად, მაგრამ პროკურორი შემდეგ სხდომაზეც მოუმზადებელი გამოცხადდა და ითხოვა დამატებით 20 დღე. მოსამართლემ მას დამატებით 7 დღე განუსაზღვრა იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნული საქმე არის საკმაოდ დიდი მოცულობის და სათანადოდ გაცნობისათვის საჭიროებს გარკვეულ დროს.

7 ოქტომბერს პროკურორმა დააყენა თვითაცილების შუამდგომლობა იმ მიზეზით, რომ ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის მსგავსად, არის აფხაზეთიდან დევნილი, ჰყავთ საერთო სანაცნობო წრე, რომელთა მხრიდან ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ ზეწოლას. ია დარჯანიამ განმარტა, რომ მისთვის თავიდანვე იყო ცნობილი საერთო სანაცნობო წრის არსებობის შესახებ, მაგრამ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ადგილი ახლახანს ჰქონდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულის ადვოკატთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა. პროკურორის განმარტებით, იმისათვის, რომ ამას არ მოჰყვეს შეკითხვები და გავლენა არ იქონიოს მის პროფესიულ საქმიანობაზე, მართებულად მიაჩნია თვითაცილება.

მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის თვითაცილების შუამდგომლობა. *„თვითაცილება დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. პროკურორი აცხადებს რომ ვერ იქნება ობიექტური ჩამოთვლილი გარემოებების გამო. სასამართლო ვერ დაუშვებს ასეთი პროკურორის მონაწილეობას საქმეში“*, - აღნიშნა მოსამართლემ.

ის ფაქტი, რომ პროკურორმა ია დარჯანიამ მეორეჯერ მოითხოვა დამატებითი ვადა საქმის მასალების გასაცნობად და ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნა იმ ფაქტორების შესახებ, რაც მისთვის თავიდანვე იყო ცნობილი წარმოშობს ეჭვებს, რომ ეს ყოველივე ემსახურებოდა საქმის გაჭიანურებას. მართალია, მან დასაბუთებისას მიუთითა, რომ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ადგილი ახლახანს ჰქონდა, მაგრამ შეკითხვებს წარმოშობს ის ფაქტი, რომ საერთო ნაცნობების არსებობისა და ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად, იგი მაინც ჩართო საქმეში. საყურადღებოა ის, რომ მან ამის შესახებ არ განაცხადა არც 30 სექტემბრის სხდომაზე, რომელზეც მეორეჯერ მოითხოვა საქმის გადადება მოუმზადებლობის გამო.

ვლადიმერ ბედუკაძის სასჯელისაგან სრული გათავისუფლება

2013 წლის 14 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა, სასჯელადსრულებების გლდანის N8 დაწესებულების პატიმართა წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტებზე. საქმეზე არსებითი განხილვა მიმდინარეობდა დახურულ სასამართლო პროცესზე, პროცესის მონაწილეთა პირადი საიდუმლოების დაცვის მიზნით, რის გამოც მონიტორინგი აღნიშნულ საქმეზე მონიტორინგი ვერ განხორციელდა.

აღნიშნულ საქმეში ბრალდებული 16 პირის წინააღმდეგ სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. ერთ-ერთი ბრალდებული, ვლადიმერ ბედუკაძე კი სრულად გათავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად:

„ბრალდებული ვლადიმერ ბედუკაძე, მიუხედავად მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობისა, ”განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ” საპროცესო შეთანხმების შედეგად, გათავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან⁴⁶.

მთავარი პროკურატურის განმარტებით, ბედუკაძე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმიტომ გათავისუფლდა, რომ მან ხელი შეუწყო „სისტემური დანაშაულის“ გამოვლენას⁴⁷.

„მხედველობაში მიღებული იქნა ის, რომ ვლადიმერ ბედუკაძის მიერ დანაშაულის ჩადენის დადგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალის საფუძველზე, რომლის გარეშეც ვერც ვლადიმერ ბედუკაძისა და ვერც სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა ვერ დადგინდებოდა. ამ ვიდეომასალის წარმოდგენით ვლადიმერ ბედუკაძემ საფრთხეში ჩააგდო არა მარტო საკუთარი სამსახურებრივი კარიერა, არამედ საკუთარი უსაფრთხოებაც, რის გამოც იგი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. საფრთხე შეექმნა ვლადიმერ ბედუკაძის

⁴⁶ <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=533>

⁴⁷ <http://www.radiotavisupleba.ge/content/prokuratura-da-bedukadze/25039580.html>

ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“, - აღნიშნულია მთავარი პროკურატურის 19 ივნისის განცხადებაში⁴⁸.

სსსკ-ის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე“.

თუმცა, 218-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელია საქართველოს სსსკ-ის 144¹ (წამება), 144² (წამების მუქარა), 144³ (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.

მართალია, ვლადიმერ ბედუკაძე წარმოადგენდა ბრალდებულს და არა მსჯავრდებულს, მაგრამ მისი პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლება ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო კონვენციებს.

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად,⁴⁹ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები იერარქიით საქართველოს ორგანულ კანონსა და კანონზე მაღლა დგას და საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგი ადგილი უჭირავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, წამების აკრძალვა ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს შემთხვევა, როცა წამება შეიძლება იყოს დაშვებული. შესაბამისად, წამებაში ბრალდებული პირის პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელია.

⁴⁸ <http://www.radiotavisupleba.ge/content/prokuratura-da-bedukadze/25039580.html>

⁴⁹ მუხლი 7, ნაწილი მე-3; <http://www.parliament.ge/konkursi-2013/test-kanon/t-1876-IIs.pdf>

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენცია⁵⁰, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ, სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, სისხლის სამართლის სასჯელი დაუწესოს პირებს, რომლებიც ჩაიდენენ მსგავს დანაშაულს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აღიარებს, რომ ვლადიმერ ბედუკაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სისტემური დანაშაულის გამოვლენაში, მაგრამ მისი, როგორც წამებაში ბრალდებული პირის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპებს.

შეშფოთებას იწვევს წამებაში მსჯავრდებულ პირთა მიმართ განსაზღვრული არაადეკვატურად დაბალი სასჯელები. წამებაში მსჯავრდებულ პირებს სასჯელები ამნისტიის შესახებ კანონის შესაბამისად 1/4-ით შეუმცირდათ და შემდეგნაირად განესაზღვრათ: ლევან ფურცხვანიძე - 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ოლეგ ფაცაცია - 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, გურამ ცომაია - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ლევან ფხალაძე - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ბორის ფარულავა - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, კობა ჩიკვატია - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა⁵¹.

სსკ-ის 144¹ მუხლის მიხედვით, ადამიანთა წამება ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ათ წლამდე. შემცირებული 1/4-ის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, აღნიშნული სასჯელებიდან ბევრი არაადეკვატურად მცირეა ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორც არის წამება.

ძირითადი დაკვირვებები

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, ძირითადად, დაცული იყო. ამ თვალსაზრისით გამოვლენილ დარღვევებს არ ჰქონია ხშირი ხასიათი, გარდა ე.წ. სამხედროების წამების საქმეში, რომელშიც, სხვა საქმეებთან შედარებით მეტი დარღვევა დაფიქსირდა;

⁵⁰ კონვენციის მე-4 მუხლი; <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CAT.aspx>

⁵¹ <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=533>

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დაცვასა და ბრალდებას, ძირითადად, თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად. თუმცა, ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესებზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. ე.წ. სამხედროების წამებისა და ე.წ. 7 სპეცრაზმელების საქმეებზე;
- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სასამართლო პროცესი, მიუხედავად სხდომაზე დასასწრებად გამოცხადებულ პირთა დიდი რაოდენობისა, მცირე ზომის დარბაზში გაიმართა, რის გამოც, ბევრ დაინტერესებულ პირს წაერთვა შესაძლებლობა დასწრებოდა სასამართლო პროცესს, რითაც შეიზღუდა უფლება საჯარო მოსმენაზე;
- ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მყოფ ერთ-ერთ საქმეში, საჯარო სასამართლო პროცესები შეიცავდნენ მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი, მათ შორის, სექსუალური ხასიათის ქმედებების დეტალურ აღწერას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სექსობრივი დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით, გარდაცვლილი პირის ღირსებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად, თემის განსაკუთრებული სენსიტიურობიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული სასამართლო პროცესების დახურვა;
- მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევა, როცა მოსამართლემ დაუსაბუთებელი უარი განაცხადა სხდომის დახურვაზე იმ ნაწილში, სადაც უნდა გაცხადებულიყო ინფორმაცია დაზარალებულის ინტიმურ მიმოწერასთან დაკავშირებით;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო პროცესების ვიდეოგადაღების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ ვიდეოგადაღებაზე უფლებამოსილების მქონე ტელეკომპანიის შესარჩევად წილისყრის სხდომა უნდა გაიმართოს საჯაროდ, რომელზეც დასწრების შესაძლებლობა ექნებათ შესაბამის ტელეკომპანიებსა და დაინტერესებულ პირებს;

- მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევა, როცა მოსამართლე, არსებითი განხილვის საწყის ეტაპზე, რამდენიმე სხდომის განმავლობაში, განურჩევლად ყველა მოწმეს ეკითხებოდა ნასამართლეობის შესახებ;
- თბილისის მერის, ბრალდებულ გიგი უგულავას აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების გადაწყვეტილება მოკლებული იყო სათანადო სამართლებრივ დასაბუთებას. მსგავსი სახის მძიმე დანაშაულებში ბრალდებული პირის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ ბრალდებული რამდენჯერმე არ გამოცხადდა საგამომიებო ორგანოში. შესაბამისად, სასამართლოს უნდა მიეღო გარკვეული სახის აღკვეთის ღონისძიება.
- ე.წ. ციხის ბუნტის საქმეში, გამოიკვეთა პროკურატურის მხრიდან საქმის გაჭიანურების ტენდენცია.

იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. სამხედროების წამების საქმეში, რომელშიც ბრალდებულს წარმოადგენდა ყოფილი თავდაცვისა და შსს მინისტრი, ბაჩანა ახალაია, დაფიქსირებული დარღვევები იყო ხშირი ხასიათის, ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალკე წარმოადგენს ძირითად დაკვირვებებს ამ საქმიდან:

- ადვოკატების შეკითხვები მოწმეთა მიმართ ხშირად იყო აგრესიული, დამცინავი და შეურაცხმყოფელი ხასიათის. ბრალდებულებისა და მათი ახლობლების მხრიდან ხშირად ჰქონდა ადგილი შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს პროკურორისა და მოწმეთა მისამართით, თუმცა, მოსამართლე არ იყენებდა შესაბამის სანქციებს;
- ხშირი იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა ადვოკატი მოწმეს უსვამდა ერთსა და იმავე, ხშირ შემთხვევაში არარელევანტურ შეკითხვებს, რის გამოც პროცესები არაგონივრულად ჭიანურდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მოწმის დაკითხვა, ხშირად, რამდენიმე საათი გრძელდებოდა, მოსამართლეს არ გამოუყენებია უფლება, დროში შეეზღუდა დაკითხვის მწარმოებელი მხარე. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ საქმის გონივრულ დროში წარმართვისათვის, მოსამართლეს უნდა განესაზღვრა გონივრული ვადა მოწმის დასაკითხად;

- საქმეში ახლადჩართული ადვოკატისთვის მის მონაწილეობამდე გამართული სხდომის ოქმების გაცნობაზე უარის თქმით, მოსამართლემ არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა დაცვის მხარე ბრალდების მხარესთან შედარებით, რითაც უგულებელყო შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის პროცესზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხარეთა თანასწორობა;
- საწყის ეტაპზე ვიდეოგადაღების დაშვების შუამდგომლობის განხილვისას, კანონის იმჟამად მოქმედი რედაქციით, მოსამართლეს უფლება ჰქონდა გაეცა ვიდეო-გადაღების ნებართვა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საქმეზე იყო განსაკუთრებული საჯარო ინტერესი, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიიჩნევს, რომ პროცესზე უნდა დაშვებულიყო ვიდეო-გადაღება;
- აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, მოსამართლემ არ იმსჯელა ადვოკატის მიერ წამოჭრილ მნიშვნელოვან არგუმენტაციაზე პატიმრობის თავდაპირველი საფუძვლების არარსებობასთან დაკავშირებით, იგი მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლა ახალი გარემოებების არარსებობასთან დაკავშირებით, რაც, არ წარმოადგენდა საკმარის დასაბუთებას მიღებული გადაწყვეტილებისათვის;
- თავდაპირველად ადვოკატ-სტაჟიორს ეძლეოდა მოწმეების დაკითხვის უფლება და ის საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროცესში. მოგვიანებით, მოსამართლემ მას პროცესში მონაწილეობის უფლება ჩამოართვა. კითხვის ნიშნებს იწვევს ის ფაქტი, რომ მას თავიდანვე არ ჩამოერთვა ეს უფლება, რადგანაც ლიცენზიისა და ორდერის არარსებობის შესახებ მოსამართლისათვის თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი;
- ერთ-ერთი დაკითხული მოწმის ნათქვამის შესამოწმებლად ჩართეს აუდიო ჩანაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერის უხარისხობის გამო რაიმეს გარკვევა შეუძლებელი იყო, მოსამართლე მოწმის ნათქვამის განმარტებისას საკუთარ მეხსიერებას დაეყრდნო;

- მოსამართლემ უარი უთხრა დაცვის მხარეს დაეკითხა მოწმე იმის გამო, რომ მტკიცებულებათა ნუსხაში ამ პირის გვარი შეცდომით იყო მითითებული, მაშინ, როცა წარსულში იდენტური შემთხვევა განსხვავებულად მოაწესრიგა;
- აღნიშნულ საქმეზე ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მოსამართლე ჯერ ეკითხებოდა ბრალდებულებს, ცნობდნენ თუ არა თავს დამნაშავედ და მხოლოდ ამის შემდეგ უმარტავდა მათ თავიანთ უფლებებს, მათ შორის უფლებას, რომ ბრალდებული არ არის ვალდებული პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას და რომ შეზღუდული არ არის გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით.

რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილი იყოს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე პროცესების გამართვა დიდი ზომის სასამართლო დარბაზში, რათა მაქსიმალურად მეტ დაინტერესებულ პირს მიეცეს პროცესზე დასწრების შესაძლებლობა;
- ცვლილება შევიდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის ბრძანებაში, რომლის თანახმადაც, ვიდეოგადაღებაზე უფლებამოსილების მქონე ტელეკომპანიის შესარჩევად წილისყრის სხდომა გაიმართება საჯაროდ, რომელზეც დასწრების შესაძლებლობა ექნებათ შესაბამის ტელეკომპანიებსა და დაინტერესებული პირებს; *ვიდეოგადაღების უფლების მოსაპოვებლად განცხადების გაკეთების უფლება უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ ტელეკომპანიებს, არამედ ინტერნეტ-ტელევიზიებსაც, რომელთაც სხდომის გადაღების უფლება უნდა მიეცეთ მაშინ, როცა სასამართლო პროცესს არ იღებს არცერთი ტელეკომპანია.*
- უზრუნველყოფილ იქნას სხდომის მიმდინარეობის ხარისხიანი აუდიოჩაწერა;
- მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ წესრიგის დაცვა და არ დაუშვან პროცესის მონაწილე რომელიმე მხარისა თუ დამსწრეთა მხრიდან მოწმეთა მიმართ სისტემატური ზეწოლა და შეურაცხყოფა;

- მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლთა ღირსების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხობლის უფლების დაცვა და გამოიყენონ უფლება საკუთარი ინიციატივით დახურონ სხდომა, როცა სახეზეა სხდომის დახურვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველები;
- ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვაზე ბრალდებულთა უარი არ უნდა იქნას მიღებული როგორც თავისთავადი საფუძველი ნაფიცი მსაჯულების გარეშე საქმის განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მოსამართლეებმა უნდა წარმოადგინონ კონკრეტული დასაბუთება, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულ რა ინტერესს აყენებს ზიანს ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა;
- ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, ცვლილება შევიდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც დაზარალებულს/მის უფლებამონაცვლეს მიეცემა უფლება, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებით. ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარს უჭერს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, დაზარალებულის/მისი უფლებამონაცვლის ამ მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, პროკურორს უნდა დაეკისროს დასაბუთებული დადგენილების გამოტანის ვალდებულება;
- ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, გაუქმდეს „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის #277 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, აღნიშნული ბრძანებულების წესების დაცვის გარეშეც მიიღოს შეწყალების შესახებ გადაწყვეტილება.
- ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვროს, თუ ვის უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სასამართლო სხდომაზე დასასწრებად, როცა სხდომაზე დასასწრებად გამოცხადებულ პირთა რაოდენობა არის განსაკუთრებით დიდი.